ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის
ო ქ მ ი №01-06/01

დაბა ქედა, 26 იანვარი, 2024 წელი

სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 13:10 საათზე.

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 21 წევრიდან ესწრებოდა 19.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
რეზო თურმანიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან წულუკიძე - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე - საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
ვაჟა აბულაძე - საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
ჯიმშერ სამნიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მარინა ბარამიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა გორგილაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;,
მამუკა გოგოლიშვილი - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
დავით სირაბიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
მზია ბოლქვაძე - საკრებულოს წევრი;
შორენა კარანაძე - საკრებულოს წევრი;
გოჩა ჟღენტი - საკრებულოს წევრი;
ჯემალ დავითაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
ირაკლი მახარაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მინდია არძენაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;
ზაზა დავითაძე - საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი;
ჰამიდა ზოიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/01 მორიგი სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

26 იანვარი, 2024 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ცინცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	ჯიმშერ სამნიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	გოჩა გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	ირაკლი მახარაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	მზია ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
18	შორენა კარანაძე	საკრებულოს წევრი	
19	მინდია არძენაძე	საკრებულოს წევრი	
20	გოჩა ჟღენტი	საკრებულოს წევრი	
21	ჯემალ დავითაძე	საკრებულოს წევრი	

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 იანვრის №01-06/01 მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. ქედის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში;
მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის მერი: როლანდი ბერიძე

2. ქედის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

3. ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ;
მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

4. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე

დღის წესრიგის გაცნობის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ საკრებულოს წევრებს აცნობა, რომ საჭირო იყო კიდევ ერთი საკითხის ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანა, რაზედაც ითხოვა წარმოდგენილ საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში დამატებულიყო საკითხი და წარმოადგინა №01-06/01 მორიგი სხდომის დღის წესრიგის განახლებული პროექტი შემდეგი სახით:

1. ქედის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში;
მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის მერი: როლანდი ბერიძე

2. ქედის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

3. ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ;

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

4. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე

5. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 2 (შორენა კარანაძე და დავით სირაბიძე)

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :
დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 იანვრის №01-06/01 მორიგი სხდომის დღის წესრიგი პროექტი.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ პარტია ,,საქართველოსათვის" ქედის საკრებულოს წევრმა ჯემალ დავითაძემ გააკეთა განცხადება:

,,ქედის მუნიციპალიტეტი მიეკუთვნება მაღალმთიან ზონას, რაც ართულებს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებას და სასწრაფო გადაუდებელი დაავადებების შემთხვევაში, განსაკუთრებით ზამთრის პირობებში, იქმნება ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის საშიში რისკიც კი.

ქედის რაიონული საავადმყოფო წარმოადგენს კერძო სამედიცინო დაწესებულებას. ამასთანავე ცნობილია, რომ საკადრო და ინფრასტრუქტურული მიზეზების გამო საავადმყოფო ვერ ახერხებს ფუნქციონირებას სრული დატვირთვით, თუმცა საავადმყოფოს მფლობელის მხრიდან არ ჩანს შესაბამისი მცდელობა მდგომარეობის გამოსწორებისაკენ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, როგორც ავტონომიურ წარმონაქმნის ქვეყანაში, ასევე აჭარის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მოვალეობაა აქტიური მონაწილეობა მიიღოს მაღალმთიან ზონებში მრავალპროფილური სამედიცინო სამსახურის აღდგენისა და გაუმჯობესების საქმეში. გარკვეულ მცდელობებს ახორციელებს თუნდაც ამ სამინისტროს დამატებითი სამედიცინო პროგრამებისა და პერსონალის ხელფასების დანამატების ფარგლებში. ე.ი. ეს არის ამ სამინისტროს ინტერესის სფეროში და ნიშნავს, რომ გარკვეულ პასუხისმგებლობასაც იზიარებს.

წინადადებით შემოვდივარ ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ წარადგინოს შუამდგომლობა ზემდგომ ორგანოებთან, რათა მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული იქნას საავადმყოფო და მიენიჭოს მუნიციპალური სტაციონარის სტატუსი.

რეგიონის ზოგად განვითარებაში, მოსახლეობის ადგილზე დაკავების მცდელობაში სამედიცინო მომსახურების სრულყოფას აქვს დიდი მნიშვნელობა.

ეს არის მიზანი იმისა, რომ ქედის რაიონულმა საავადმყოფომ დაიბრუნოს სრული ფუნქციონერებისათვის საჭირო პოტენციალი, ხოლო მოსახლეობამ ადგილზე მიიღოს მაღალკვალიფიკაციური, მრავალპროფილური, დროული სამედიცინო დახმარება, რაც შეამცირებს ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის საშიშ რისკებს." – განაცხადა ჯემალ დავითაძემ.

ქედის მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ პირველ რიგში საკრებულოს წევრებს და სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას მიულოცა ყველა განვლილი დღესასწაული და ნაყოფიერი სამუშაო წელი უსურვა. შემდეგ კი ჯემალ დავითაძის წინადადებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამასთან დაკავშირებით პასუხს ვერ გასცემდა, რადგან საჭირო იყო სამედიცინო სტატისტიკის შესწავლა, ანალიზი და მას შემდეგ უნდა მომხდარიყი განხილვა რამდენად შესაძლებელი იქნებოდა სახელმწიფოს მიერ საავადმყოფოს შესყიდვა და მისი მართვა.

საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ განაცხადა, რომ მისი აზრით ამ საკითხს ქედის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო ვერ გადაწყვეტდა.

1. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში.

მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქედის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (წერილის ნომერი: N:12-95240121-95, 12.01.2024 წელი).

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ შემდეგი კითხვებით მიმართა ქედის მუნიციპალიტეტის მერს:

ა) თუ რატომ ჰქონდა ანგარიშში შეტანილი ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაზიფიცირება, რატომ თვლიდა მერი მის მიღწევად და აინტერესებდა მერიის რომელი სამსახური ასრულებდა გაზიფიცირებასთან დაკავშირებულ სამუშაოებს;

ბ) ზვარის ადმინისტრაციულ ერთეულში გაზიფიცირების დაქსელვით სამუშაოებთან დაკავშირებით იკითხა, კერძოდ რომელ ლოკაციაზე მიმდინარეობდა ამჟამად ანგარიშში მოყვანილი სამუშაოები;

გ) კვაშტის წყლის გამანაწილებელი სისტემის მშნებლობის ტენდერის გამოცხადებასთან დაკავშირებით რა ხდებოდა და რა ეტაპზე იყო ამჟამად აღნიშნული საკითხი;

დ) წარმოდგენილ ანგარიშში ასახული იყო ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შეძენილი ერთი ერთეული ტექნიკა, ჩუქუროვას ფირმის ექსკავატორ-დამტვირთველი, თუმცა ანგარიშში ვერ ხედავდა ინფორმაციას მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განახლებული ავტოპარკის შესახებ, რომელიც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს 200 000 ლარი დაუჯდა;

ე) იკითხა არშემდგარ ტენდერებთან დაკავშირებით, კერძოდ მახუნცეთის ბაგა-ბაღის რემონტსა და მახუნცეთის ხიდის რეაბილიტაციზე, რომელიც გასულ წელში უნდა დასრულებულიყო.

კითხვებთან დაკავშირებით ქედის მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ განმარტა, რომ როგორც ქედის მუნიციპალიტეტის მერი ის ანგარიშვალდებულად თვლიდა თავს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წინაშე ანგარიშის სახით მოეხსენებინა ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე ან/და განხორციელებული პროექტებისა და სამუშაოების შესახებ ინფორმაცია, მიუხედავად იმისა მერიის სამსახურები ახორციელებდნენ თუ არა მას. მერმა აქვე მადლობა გადაუხდა ყველა იმ ორგანიზაციას/უწყებას, რომელიც ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახორციელებდნენ სამუშაოებს და აწვდიდნენ მერიას ობიექტურ ინფორმაციას. რაც შეეხებოდა, გაზიფიცირების თემას მერია ნებართვების გაცემით შემოიფარგლებოდა მხოლოდ. ზვარის თემასთან დაკავშირებით მერმა აღნიშნა, რომ კონკრეტულად ვერ დაასახელებდა ლოკაციას სადაც ამჟამად მიმდინარეობდა დაქსელვითი სამუშაოები, რადგანაც ანგარიშში ასახული ინფორმაცია ეყრდნობოდა მერიის მიერ გაცემულ ნებართვებს. წყლის საკითხს რაც შეეხებოდა, როლანდ ბერიძემ უპასუხა, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყლის სისტემასთან დაკავშირებული ყველა ტენდერი გამოცხადებული იყო. არშემდგარ ტენდერებთან დაკავშირებით მერმა განმარტა, რომ მახუნცეთის ბაგა-ბაღის რემონტს მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებდა, შესაბამისად სატენდერო პროცედურები დაწყებულია და უახლოეს დღეებში გამოცხადდებოდა, ხოლო დაბა ქედის ხიდის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით როლანდ ბერიძემ აღნიშნა, რომ იმდენად ხიდების რემონტი სპეციფიკური სამუშაოა და სამწუხაროდ არცერთი

მშენებელი არ ინტერესდებოდა, რამაც გამოიწვია ტენდერის ჩავარდნა. ამიტომ მერიამ გადაწყვიტა გზის ასფალტირებასთან ერთად განხორციელდეს ხიდის რეაბილიტაციაც, რომელიც მიმდინარე წელს იგეგმებოდა.

საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ მადლობა გადაუხადა მერს 2023 წელს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებული სამუშაოებისათვის და მერის საქმიანობა დადებითად შეაფასა.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 4 (დავით სირაბიძე, შორენა კარანაძე, გოჩა ჟღენტი და ჯემალ დავითაძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N:გ-95.95240261, 26.01.2024 წელი).

2. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსმა სულიკო ბოლქვაძე საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: N:12-95240232-95, 23.01.2024 წელი.) და განმარტა, რომ ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულება.

ქედის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი ასახავს პრიორიტეტულ მიმართულებებსა და გეგმებს, რომელიც არსებული სიტუაციის ანალიზს, რესურსულ შესაძლებლობებს ეფუძნება და მიმართულია მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდისა და გაუმჯობესებული ინკლიზიური, მოქალაქეებზე ორიენტირებული, ადგილობრივი მმართველობის დანერგვისკენ.

ქედის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შემუშავების პროცესში ჩართული იყო სხვადასხვა დაინტერესებული მხარე: მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები, მერის სამოქალაქო და ახლგაზრდულ მრჩეველთა საბჭოები, შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოსა და მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები და სხვ.

სამუშაო შეხვედრებზე ერთობლივი მსჯელობის შედეგად შემუშავდა მუნიციპალიტეტის SWOT ანალიზი, რამაც გამოკვეთა მუნიციპალიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. აღნიშნულის შედეგად, განისაზღვრა მუნიციპალიტეტის მიზნები და შესაბამისი ამოცანები.

წინამდებარე დოკუმენტში ასახულია დაინტერესებული მხარეების მიერ მოწოდებული უკუკავშირი და მოსაზრებები.

ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ შემუშავებული სტრატეგიის განხორციელებას უზრუნველყოფენ მერიის სტრუქტურული ერთეულები და მმართველობის სფეროში შემავალი სხვა დაწესებულებები.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, რომ გასულ წლებში მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტული იყო გზები, გარე-განათება და წყლის მომარაგება, ქედის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების

საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტში თუ იქნებოდა გათვალისწინებული წყალარინება, რომელიც უზრუნველყოფდა მომხმარებლის მიერ ჩაშვებული ჩამდინარე წყლების მიღებას, გატარებას და გამწმენდას.

მომხსენებელმა სულიკო ბოლქვაძე განმარტა, რომ ყველა სოფელში იქნა შეყვანილი სასმელი და სარწყავი წყალი (თითქმის წყლის ყველა რესურსის ათვისება მოხდა) და ამ პროექტებს არ ახლდა წყალარინების გეგმა, რომელიც რათქმაუნდა გასათვალისწინებელი იყო შემდეგში. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მხოლოდ მუნიციპალურ ცენტრებშია საკანალიზაციო ქსელი, სოფლის მოსახლეობა საკანალიზაციო სისტემის გარეშეა, გამოყენებული (მოხმარებული) წყლებისთვის აუცილებელად გასათვალისწინებელი იყო გამავალი სისტემის მოწყობა.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, რომ ქედის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტში ასახული იყო ძველი ინფორმაცია და როდის მოხდებოდა მისი განახლება, ასევე დაინტერესდა რა გრაფიკით ივლიდა მუნიიციპალიტეტის მიერ შეძენილი ავტობუსი.

მომხსენებელმა სულიკო ბოლქვაძემ განმარტა, რომ ყველა 6 თვის განმავლობაში მოხდებოდა მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტში ცვლილებების შეტანა, ხოლო ავტობუსის საკითხს რაც შეეხებოდა, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ავტობუსის გადაცემა მოხდებოდა შპს ,,ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო"-სთვის, რომელიც დაგეგმავდა და მერიასთან შეათანხმებდა თუ რა გრაფიკით და რა ფასში ივლიდა.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 4 (დავით სირაბიძე, შორენა კარანაძე, გოჩა ჟღენტი და ჯემალ დავითაძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N:გ-95.95240262, 26.01.2024 წელი).

3. მოისმინეს: ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელმა ვაჟა აბულაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: N:95-95240252, 25.01.2024 წელი.) და განმარტა, რომ განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ვაჟა აბულაძე), განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 20 თებერვალი, ხოლო ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად კი 2024 წლის 23 თებერვალი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 19

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი. (განკარგულება N:გ-95.95240264, 26.01.2024 წელი).

4. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა საკრებულოს აპარატის უფროსმა მუხრან სალამემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმა შემდეგი სახით:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის I კვარტლის (იანვარი-მარტი) სამუშაო გეგმა:

№	განსახილველი საკითხები და გასატარებელი ღონისძიებები	განხილვის თარიღი	საკითხის განხილვა კომისიის სხდომაზე	საკითხის განხილვა საკრებულოს სხდომაზე	პასუხისმგებელი პირი საკითხის მომზადებაზე
1	ინიცირებული სამართლებრივი აქტის პროექტების განხილვა და შესაბამისი დასკვნების მომზადება	პერიოდულად	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
2	მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2023 წლის ანგარიშის შესახებ ინფორმაციის მოსმენა - განხილვა	თებერვალი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	ზედამხედველობის სამსახურის უფროსი
3	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის 2023 წლის მეოთხე კვარტალის ანგარიშის მოსმენა - განხილვა	თებერვალი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
4	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის და მშენებლობის სამსახურის 2023 წლის მეოთხე კვარტლის ანგარიშის შესახებ ინფორმაციის მოსმენა - განხილვა	თებერვალი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
5	მერიის განათლების, კულტურის, სპორტის ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის 2023 წლის მუშაობის ანგარიშის შესახებ ინფორმაციის მოსმენა - განხილვა	თებერვალი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	სამსახურის უფროსი
6	მერიის ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2023 წლის მუშაობის ანგარიშის მოსმენა - განხილვა	თებერვალი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	სამსახურის უფროსი
7	შპს „ქედის კომუნალურ სერვისი"-ს მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ	თებერვალი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	შპს „ქედის კომუნალურ

	ინფორმაციის მოსმენა - განხილვა				სერვისი“-ს დირექტორი
8	2023 წლის შესყიდვების გეგმის შესაბამისად განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშის მოსმენა - განხილვა	მარტი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	შესყიდვების განყოფილების უფროსი
9	შპს „ქედის წყალკანალი“-ს 2023 წლის საქმიანობის ანგარიშის შესახებ ინფორმაციის მოსმენა - განხილვა	მარტი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
10	2023 წლის მდგომარეობით ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა - განხილვა	მარტი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრის დირექტორი
11	2023 წლის მდგომარეობით ა(ა)იპ „ქედის სახელოვნებო სკოლა“-ში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა - განხილვა	მარტი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლის დირექტორი
12	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2023 წლის მდგომარეობით აუქციონის ჩატარების შესახებ ინფორმაციის მოსმენა	მარტი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	ქონების მართვის განყოფილების უფროსი

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, როდის იქნებოდა წარმოდგენილი საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში?

რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიშის წარდგენის თარიღი რეგლამენტით განსაზღვრული არ არის, ამიტომ რომელ თვეში დაიგეგმება თავმჯდომარის მიერ ანგარიშის წარდგენა მისთვის ამ ეტაპზე უცნობია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომა დატოვა რომან დავითაძემ 13:00 საათზე

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულები პროექტი.
(განკარგულება N:გ-95.95240263, 26.01.2024 წელი).

5. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის

განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა საკრებულოს აპარატის უფროსმა მუხრან სალაძემ საკრებულოს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი: N:95-95240261, 26.01.2024 წელი.) და განმარტა, რომ ნორმატიული აქტის მიღების მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დადგენილებაში არსებული ტექნიკური ხარვეზის გასწორება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 4 (დავით სირაბიძე, შორენა კარანაძე, გოჩა ჟღენტი და ჯემალ დავითაძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება N: 1, 26.01.2024 წელი).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 12:10 საათზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **ამირან ცინცაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი **ჯამიდა ზოიძე**